



6431/3-19/21 2 25062021

6431/3-19/21

25-06-2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ეფექტიანობის ზრდისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციისთვის მნიშვნელოვანია ხე-ტყის უკანონო ჭრის, უკანონო თევზჭერისა და ზოგადად ბრაკონიერობის მკაცრი კონტროლი და მათი პრევენციისთვის ეფექტური ზომების გამოყენება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, წერილობით მოგმართავთ შემდეგი კითხვებით:

1. აქვს თუ არა სამინისტროს დამუშავებული 2019-2021 წლებში ხე-ტყის უკანონო ჭრის შესახებ სტატისტიკური მონაცემები? ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგაწოდოთ შესაბამისი მონაცემები;
2. რა სახის პრევენციული ღონისძიებები ხორციელდება სამინისტროს მხრიდან ხე-ტყის უკანონო ჭრის შემთხვევების შესამცირებლად?
3. ხომ არ იგეგმება სამინისტროს მხრიდან დაცულ ტერიტორიებში და არა მხოლოდ, ადამიანური ან/და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გაზრდა/განახლება? ასევე, საინტერესოა, იგეგმება თუ არა არსებული კადრებისთვის შრომის პირობების გაუმჯობესება? ხომ არ გაქვთ ჩამოყალიბებული ამ მიმართულებით კონკრეტული სამოქმედო გეგმა?
4. რა სახის გამოწვევებისა და დაბრკოლებების წინაშე დგას სამინისტრო ხე-ტყის უკანონო ჭრის, უკანონო თევზჭერისა და ზოგადად ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში კონტროლის განხორციელებისას?

გთხოვთ, გაეცნოთ აღნიშნულ მომართვას და განახორციელოთ შესაბამისი რეაგირება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე დალაქიშვილი



საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7886/01
27/07/2021

7886-01-2-202107271121



საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ალექსანდრე დალაქიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი ა/წ 25 ივნისის N6431/3-19/21 წერილით წარმოდგენილ კითხვებთან მიმართებით, რომლებიც ეხება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ეფექტიანობის ზრდისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციისთვის მნიშვნელოვანი, ბრაკონიერობის მკაცრი კონტროლისა და პრევენციისთვის ეფექტური ზომების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, გაცნობებთ შემდეგს:

1. აქვს თუ არა სამინისტროს დამუშავებული 2019-2021 წლებში ხე-ტყის უკანონო ჭრის შესახებ სტატისტიკური მონაცემები? ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი მონაცემები;

აღნიშნულ ინფორმაციას წარმოგიდგენთ ცხრილის სახით.

ინფორმაცია სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ხე-ტყის უკანონო მოპოვების/ტრანსპორტირების ფაქტების შესახებ, 2019-2021 წ.წ.

წ.წ.	სულ სამართალდარღვევები	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების რაოდენობა		სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტების რაოდენობა	უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის ოდენობა (მ3)	გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა, ლარი
		ხე-ტყის უკანონო ჭრა	ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევა			
2019 წ.	3 745	1 889	1 637	219	38 085	5 965 501,7
2020 წ.	2 807	1 420	1 245	142	16 825	2 839 300,4
2021 წ. 6 თვე	1 405	724	595	86	3 627	628 955,5
სულ	7 957	4 033	3 477	447	58 537	9 433 757,6

2. რა სახის პრევენციული ღონისძიებები ხორციელდება სამინისტროს მხრიდან, ხე-ტყის უკანონო ჭრის შემთხვევების შესამცირებლად?

ტყეზე ზეწოლის შემცირების სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, რომელსაც, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ტყის მართვის ორგანოები ახორციელებენ, ასევე უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა უკანონო ტყითსარგებლობაზე კონტროლის მექანიზმების გაძლიერება და ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემის დანერგვა. ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის, მათ შორის, ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) კომპეტენციას განეკუთვნება. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად დეპარტამენტის მიერ ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- **ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის უზრუნველყოფა 24-საათიანი პატრულირების განხორციელების გზით:**

ბრაკონიერობისა და უკანონო ტყითსარგებლობის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით დეპარტამენტის მიერ, გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურების ბაზაზე, შექმნილია სწრაფი რეაგირების ეკიპაჟები, რომლებიც ახორციელებენ 24-საათიან პატრულირებას, ბუნებრივი რესურსების (ხე-ტყე, წიაღი, თევზი, ცხოველთა სამყაროს ობიექტები) უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ადგილებში. 2013 წელს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მოქმედებდა 32 ეკიპაჟი, 2018 წელს - 64 ეკიპაჟი, 2021 წელს ქვეყნის მასშტაბით, ყოველდღიურად, 24-საათიან რეჟიმში, გარემოსდაცვით პატრულირებას სწრაფი რეაგირების 100-ზე მეტი ეკიპაჟი ახორციელებს, რაც უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა პრევენციასა და შემაკავებელი გარემოს გაუმჯობესებას, მეტი პრობლემური ტერიტორიის გაკონტროლებას.

უკანონო ჭრების პრევენციის მიზნით სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების საკონტროლო ლოკაციებს წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ტერიტორიები და ტყიდან გამოსასვლელები, მიმდებარე საავტომობილო გზები, მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროები (740 სახერხი), მათთან მიმდებარე გზები და სხვა.

- **ტყითსარგებლობის კონტროლის უზრუნველყოფა გარემოსდაცვითი ინსპექტირებით:**

ტყითსარგებლობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება დეპარტამენტის გარემოსდაცვითი ინსპექტორების/მეტყვევ სპეციალისტების მეშვეობით და ძირითადად ფოკუსირებულია რეგულირების ობიექტების (ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელი) მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემოწმებებზე (გეგმიური, არაგეგმიური). ასევე სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, დაცულ ტერიტორიებზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების ინსპექტირებაზე.

- **გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების, ინსპექტორების აღჭურვა/შესაძლებლობების გაძლიერება:**

ეტაპობრივად ხორციელდება ეკიპაჟების ტექნიკური განახლება - გაიზარდა ავტოპარკი, შეძენილ იქნა მაღალი გამავლობის ავტომანქანები, ეკიპაჟები აღიჭურვა უნიფორმებით, სამხრე კამერებით, საველე პლანშეტებით, GPS მოწყობილობებით, ღამის ხედვის ბინოკლებით და სხვა.

დაინერგა დეპარტამენტის თანამშრომელთა უწყვეტი გადამზადების სქემა, მომზადდა ტყის მართვის მიმართულებით საბაზისო მოდული, რომლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ახლადმიღებული თანამშრომლებისთვის ყოველწლიურად ხორციელდება ტრენინგები ტყის, ბიომრავალფეროვნების კონტროლის მიმართულებით.

სატყეო სექტორში მიმდინარე რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის ფარგლებში, ასევე გათვალისწინებულია დეპარტამენტის გაძლიერება ხე-ტყის ეფექტური კონტროლის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ტყეზე ზედამხედველობისა და კანონდარღვევების გაუმჯობესების მიზნით, მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში 2021-2027 წ.წ. გათვალისწინებულია სამეთვალყურეო სისტემების (კამერების, დრონების და სხვა) დანერგვა; გეოინფორმაციული (GIS) ტექნოლოგიების გამოყენებით „ცხელი წერტილების“, რისკის რუკების შემუშავება და პრევენციის განხორციელება.

- **კანონმდებლობის გამკაცრება უკანონო ტყითსარგებლობის, ბრაკონიერობის ფაქტების პრევენციის, შემაკავებელი გარემოს შექმნის მიზნით:**

გაიზარდა ადმინისტრაციული საჯარიმო სანქციები ხე-ტყის უკანონო გაჩეხვის და დაზიანებისთვის სამართალდარღვევის იარაღისა და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით. ნადირობის წესების სხვადასხვა დარღვევაზე გამკაცრდა არსებული სანქციები, ასევე, სანქციებს, როგორც დამატებითი სახდელი დაემატა სანადირო იარაღის ტარების უფლების გარკვეული დროით ჩამორთმევა.

შემოდებულ იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არარეგისტრირებული (უკანონო) სახერხი საამქროს მოწყობისთვის, ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვის, ან ტრანსპორტირების წესების დარღვევის შემთხვევაში, ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ; ასევე, „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების უკანონოდ გაჩეხვისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება ქმედების განმეორების შემთხვევაში.

გამკაცრდა მოთხოვნები ხე-ტყის ჭრის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავებისადმი, რომელიც რეულირდება „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის #46 დადგენილებით.

- **კონტროლის ელექტრონული მექანიზმების განვითარება ხე-ტყის დამზადების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების აღრიცხვიანობის, მიკვლევადობის, კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით**

ხე-ტყის ჭრის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების აღრიცხვიანობის, მიკვლევადობის, კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, დანერგილია და ვითარდება ელექტრონული

სისტემები, რაც მნიშვნელოვანი მექანიზმია ხე-ტყის კონტროლის სფეროში პრობლემატური მიმართულებების გამოვლენისა და ინსპექტირების დაგეგმვისთვის, ესენია:

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობით ტყის მართვის სახელმწიფო ორგანოები, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები ონლაინ-რეჟიმში ახორციელებენ ტყეკაფების აღრიცხვას, დამზადებულ ხე-ტყეზე გამოწერილი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების ასახვას და ელექტრონულ სისტემაში ატვირთვას;

სახერხების მართვის ელექტრონულ სისტემა, რომელშიც მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების საამქროების მფლობელები, ასევე online-რეჟიმში, ახორციელებენ მრგვალი მორის მიღება-გადამუშავების, გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის რეგისტრაციას;

მიმდინარეობს მუშაობა „ხე-ტყის ტრანსპორტირების კონტროლის ელექტრონული სისტემის“ დასაწერად, რომლის მეშვეობით ხე-ტყით დატვირთული ავტოტრანსპორტის დათვალიერების პროცესში შეივსება „ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერების ელექტრონული აქტი“. შესაბამისად, დოკუმენტების შემოწმებაზე მნიშვნელოვანი დრო და რესურსი დაიზოგება დაიზოგება, ხოლო შეუსაბამობების გამოვლენა და რეაგირება განხორციელდება მყისიერად. ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ-რეჟიმში ხელმძღვანელობისთვის, დაინტერესებული სუბიექტებისთვის.

3. ხომ არ იგეგმება სამინისტროს მხრიდან დაცულ ტერიტორიებში და არა მხოლოდ, ადამიანური ან/და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გაზრდა/განახლება? ასევე, საინტერესოა, იგეგმება თუ არა არსებული კადრებისთვის შრომის პირობების გაუმჯობესება? ხომ არ გაქვთ ჩამოყალიბებული ამ მიმართულებით კონკრეტული სამოქმედო გეგმა?

სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქმედითუნარიანობის გაძლიერების, საკადრო პოტენციალის გაზრდის, კადრების დენადობის შემცირებას, გამოცდილი კადრების შენარჩუნებისა და თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით მომზადდა კონკრეტული წინადადებები, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია:

- დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების დაწესების თაობაზე შესაბამისი ცვლილებების მომზადება „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებული სამსახურში მიღების და სამსახურის გავლის წესის შემოღება; კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპენსაციის დაწესება სპეციალური წოდებით ნამსახურობის სტაჟის შესაბამისად და სხვა.
- გარემოსდაცვითი ინსპექტორების რიცხოვნების გაზრდა და ინსპექტირების სამსახურების სტრუქტურის ოპტიმიზაცია - ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის მიზნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაცულ ტერიტორიებზე რეინჯერთა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კერძოდ: საგუმბაგოები, მცველთა თავშესაფრები, მოძრავი და მუდმივი ხერგილები. პერიოდულად, შესაძლებლობის ფარგლებში, იწმინდება საპატრულო გზები და ბილიკები. საგუმბაგოებზე და მცველთა თავშესაფრებში განთავსებულია სახანძრო ინვენტარი და მედიკამენტების საველე აფთიაქი და პირველადი დახმარების სხვა საშუალებები. ამასთან სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ პერიოდულად ხორციელდება რეინჯერების ტრენინგების, სწავლებისა და გადამზადების პროგრამები.

4. რა სახის გამოწვევებისა და დაბრკოლებების წინაშე დგას სამინისტრო ხე-ტყის უკანონო ჭრის, უკანონო თევზჭერისა და ზოგადად, ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში კონტროლის განხორციელებისას?

გამოწვევები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ბრაკონიერობის შემცირებას და ზოგადად, აამაღლებს გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესებას:

- **შიდა წყალსატევებში თევზჭერის ელექტრონული სისტემის შემუშავება** - ხელს შეუწყობს თევზჭერის აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას;
- **მცურავი საშუალებების რეგისტრაციის ვალდებულების შემოღება** - დაწესდება საქართველოს წყლის ობიექტებზე მოძრავი მცურავი საშუალებების რეგისტრაციის ვალდებულება, რაც გაამარტივებს მათ იდენტიფიცირებას, უკანონო თევზჭერის პრევენციის ერთ-ერთი საშუალებაა;
- **თევზის წარმოშობის დოკუმენტის შემუშავება** - უკანონო თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში მიზანშეწონილია შემუშავდეს თევზის წარმოშობის დოკუმენტი. ინიციატივის მიზანია, დადგინდეს თევზის სახეობისა და რაოდენობის შესაბამისობა და მიკვლევადობა (კონკრეტულად სად არის მოპოვებული), იმისთვის, რომ რეალიზაციაში არ მოხვდეს უკანონოდ მოპოვებული პროდუქტი;
- **სავაჭრო ობიექტებში თევზჭერისა და ნადირობის უკანონო საშუალებების გაყიდვის აკრძალვა** - უკანონო თევზჭერის პრევენციის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად, სპეციალიზირებულ მაღაზიებში უნდა აიკრძალოს ნადირობისა და თევზჭერის აკრძალული საშუალებების გაყიდვა. გამონაკლისის სახით, ამგვარი საშუალებების შეძენა შეეძლება სპეციალისტებს, მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოების მიზნით. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს უკანონო თევზჭერისა და წესების დარღვევით ნადირობის აღმოფხვრას და ამგვარ სამართალდარღვევათა ფაქტების მინიმუმამდე დაიყვანს;
- **ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება** - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის გამკაცრების მიზნით, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ზოგიერთ მუხლზე ადმინისტრაციული სახდელის ზომად გამასწორებელი სამუშაოების და ადმინისტრაციული პატიმრობის დაწესება;
- **უპატრონოდ მიტოვებული ან/და ჩამორთმეული ხე-ტყის აუქციონზე გატანა** - სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების ჩადენის დროს, დამრღვევისთვის ჩამორთმეული ან/და უპატრონოდ მიტოვებული ხე-ტყის რეალიზება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, აუქციონის წესით, სსიპ ეროვნული

სატყეო სააგენტოს მიერ. აღნიშნული უზრუნველყოფს ხე-ტყის სასაქონლო ღირებულების შენარჩუნებასა და რეალიზაციიდან მიღებულ ეფექტს;

- მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ზედნადების სისტემასთან ინტეგრირება - ელექტრონული ზედნადების კავშირის უზრუნველყოფა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემასთან სერვისების გაცვლის მეშვეობით. მისი მიზანია ზედნადებში მონაცემების გაყალბების რისკის მინიმუმამდე დაყვანა, ხე-ტყის, პირველადი გადამუშავების პროდუქტის მოძრაობის კონტროლის გაუმჯობესება, ხე-ტყის, პირველადი გადამუშავების პროდუქტის მიკვლევადობის გაუმჯობესება.
- სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბაზაზე საგამოძიებო სამსახურის შექმნა, რომელსაც მიენიჭება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე რეაგირებისა და ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება - ამჟამად საგამოძიებო ორგანოებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სისხლის სამართლის საქმეების დროულად დასრულება ფერხდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების ნაკლებობისა და სხვა სისხლის სამართლის საქმეებით დატვირთვის გამო. დეპარტამენტში საგამოძიებო სამსახურის შექმნის შემთხვევაში წარმოებაში მიღებული იქნება გარემოს დაცვის სფეროში ყველა უწყებების მიერ გამოვლენილი, დანაშაულის ნიშნების მქონე საქმეები. შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება გამოძიების პროცესის დროში ეფექტური მართვა, საგამოძიებო სამსახური იქნება მხოლოდ გარემოსდაცვითი დანაშაულებზე, გამოძიების პროცედურები ჩატარდება ოპერატიულად, გაიზრდება გახსნილ საქმეთა რაოდენობა, უზრუნველყოფილი იქნება გარემოს დაცვის სფეროში დანაშაულის უფრო ეფექტიანი პრევენცია.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

